ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 27

ქ. გარდაბანი 31 იანვარი, 2014 წელი

ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73), წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ონიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ხალდეს“ (მის: გარდაბანის რაიონი, სოფ. ნაგები) წარმოდგენილი მისი დირექტორის გურიელი ჯოხაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 იანვრის №18 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე“. „კვირა“, „თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 „შემსყიდველი” უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების მომსახურებაზე, დანართის შესაბამისად.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 90600000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 10611.46 (ათი ათას ექვსასთერთმეტი ლარი და 46 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 4.2 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში;

4.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი გარდაბნის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური.

5.3. მიმწოდებელი და ხელშეკრულების შესრულებაზე მიმწოდებლის მხრიდან ინსპექტირების გაწევაზე უფლებამოსილი პირი პასუხისმგებლები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და სისწორეზე

6. მომსახურების დასრულების ვადა

6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2014 წლის 1 თებერვლიდან 2014 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურებისთვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

7.2 **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" მომსახურების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

8. ინსპექტირების პირობები

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგადამტეხლო ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგადამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგადამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია

წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 მარტის ჩათვლით.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
გარდაბნის მუნიციპალიტეტი მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73 საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204 სს „ლიბერთი ბანკი”-ს ბ.კ. № LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE59LB0120137100012000	შპს „ხალდეს” მის: გარდაბნის რაიონო, სოფ. ნაგები საიდენტიფიკაციო კოდი: 426519341 სს „ლიბერთიბანკი” ბ.კ. № LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: №GE51LB0113180122238000

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	შპს „ხალდეს"-ის დირექტორი
----------	----------
ზაზა ონიანი	გუროელი ჯორხაძე

საქართველო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 18

ქ.გარდაბანი

2014 წლის 24 იანვარი

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვების ფორმით მომსახურებების განხორციელების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ" ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე

გადაწყვიტა

მუხლი 1

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე განხორციელდეს, გამარტივებული შესყიდვის ფორმით (2014 წლის 1 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით ერთთვიანი ხელშეკრულება) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება შემდეგ მომსახურებებზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარე განათების ქსელის და წყლის სატუმბი სადგურების მოვლა პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგვის კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ტერიტორიის დაგვა- დასუფთავების მომსახურების შესყიდვა.

მუხლი2

განკარგულება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.

მუხლი3

განკარგულებაშეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქოსასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6)საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ონიანი

№	დასასუფთავებელი ქუჩების ჩამონათვალი ტროტუარების ჩათვლით	ზომის ერთეული	რაოდენობა	წლიური მომსახურეობა დღე
1	2	3	4	5
1	დავით აღმაშენებლის ქუჩა, (ასევე პარკებისა და სკვერების დაგვა-დასუფთავება და ნარგავების მოვლა პატრონობა)	1000კვ.მ	60	56
2	სადგურის ქ.	1000კვ.მ	1,2	28
3	საავადმყოფოს მოედანი	1000კვ.მ	1,485	28
4	საავადმყოფოს მიმდებარე სკვერი	1000კვ.მ	1,876	28
5	აღმაშენებლის პარკი	1000კვ.მ	4,725	28
6	9 აპრილის სკვერი	1000კვ.მ	8	28
7	ოქტომბრის ქ.	1000კვ.მ	5	28
8	ასათიანის ქ.	1000კვ.მ	2	28
9	ხეთაგუროვის ქ.	1000კვ.მ	2	28
10	გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მოედანი	1000კვ.მ	8,236	28
11	ყოფილი მერიის მიმდებარე ტერიტორია	1000კვ.მ	6,374	28
12	ლესელიძის ქ.	1000კვ.მ	0,5	28
13	ვაჟა-ფშაველას ქ.	1000კვ.მ	0,6	28
14	ნინოშვილის ქ.	1000კვ.მ	0,6	28
15	სოფ. თელეთის,კუმისის ცენტრალურიგზა	1000კვ.მ	37	28
16	რუსთავ-თბილისის მე-15 კმ დასახლება ცენტრალური გზა	1000კვ.მ	25	28
17	გამარჯვება ლოჭინის გზა	1000კვ.მ	16	28
18	გაჩიანი - გამარჯვება პირველთან მისასვლელი გზა - ლოჭინის გზა,	1000კვ.მ	15	28
19	ლოჭინი-სართიჭალის გზა	1000კვ.მ	50	28
20	ლოჭინი- ნორიოს შემოვლითი გზა	1000კვ.მ	15	28
21	ვაზიანის გადასახოვიდან სამხედრო ნაწილამდე	1000კვ.მ	8	28
22	ყარაჯალისა და ყარათაკლიას ცენტრალური გზა	1000კვ.მ	15,22	4
24	სოფ. კალინინოს ცენტრალური გზა	1000კვ.მ	64	4
25	კრწანისის დასახლება	1000კვ.მ	18	4
26	სოფ. ნორიოს შესასვლელი	1000კვ.მ	25	4
27	სოფ. მარტყოფის შესასვლელი	1000კვ.მ	30	4
28	სოფ. ახალი სოფელი შესასვლელი გზა	1000კვ.მ	35	4
29	გიგანტის დასახლება	1000კვ.მ	15	4
30	ლელაშხის დასახლება	1000კვ.მ	6	4
31	ვახტანგისის ცენტრალური გზა	1000კვ.მ	25	4
32	ჯანდარის ცენტრალური გზა	1000კვ.მ	25	4

33	ლემშვენიერას ცენტრალური გზა	1000კვ.მ	20	4
34	ნაგების ცენტრალური გზა	1000კვ.მ	16	4
35	კაპანახჩის ცენტრალური გზა	1000კვ.მ	14	4
	ჯამი			
1	ზემო სამხედრო ნაწილის (ვაზიანის) დასახლებაში შემავალი ნაგავსაყრელების დასუფთავება	თვეში ერთხელ	1	1
2	გარდაბნის მუნიციპალიტეტის შემომავალი სოფლებიდან ნაგავსაყრელის დასუფთავება	თვეში ერთხელ	20	1
	ჯამი:			
	პირაპირი ხარჯების ჯამი			
	სხვა ხარჯები	თვეში ერთხელ		
	ჯამი სხვა ხარჯებთან ერთად			
	საწარმოო დასამეურნეო ხარჯები	თვეში ერთხელ		
	მთლიანი დანახარჯები ჯამი			
	დ.ღ.გ. 18 %			
	მთლიანი დანახარჯების ჯამი დ.ღ.გ-ის ჩათვლით			

<u>შენიშვნა:</u> „მიმწოდებელმა" ნარჩენების გატანა უნდა უზრუნველყოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსამგორში მდებარე ნაგავსაყრელზე საკუთარი სახსრებით.